

წინასაარჩევნო პროექტები და გაყოვიტარობის მებრძოლი ხუთი კანდიდატი ლანხუთში



პირველ სექტემბერს ლანხუთის №61 საოლქო-საარჩევნო კომისიის მდივანმა ქალბატონმა თამარ ბისი-ეშივლიმ დაინტერესებულ ჟურნალისტებს მოგვარა ინფორმაცია, რომ პირველ ოქტომბერს დანიშნულ პარლამენტის არჩევნებში ხუთი კანდიდატი იბრძობებს. 16 სექტემბრის მდგომარეობით საარჩევნო სტარტი ასე გამოიყურება:

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“ – გიორგი გობუჯაძე;

საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ – თამარ ჩხარტი;

პოლიტიკური გაერთიანება „ჯონდი ბალატურია – ქართული დასი“ – ალექსანდრე მახატიანი;

პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები“ – ბაღრატი ბაგრატიანი;

„კახა კუკავა – თავისუფალი საქართველო“ – მინდია კიკნაძე.

ლანხუთის საოლქო-საარჩევნო კომისიის მდივანს ინფორმაციით, „ერთიანი-დემოკრატიული“ პარტიიდან მასობრივად წარდგენილია მერაბ ჩხაიძე, რომელიც პარტიულ რიგებში მე-9 ადგილზეა, კანდიდატურა მალევე მოხსნას.

წინა 2008 წლის პარლამენტის არჩევნებთან განსხვავებით, ადგილობრივი გაზეთების საზოგადოების ინფორმირებას კანდიდატებთან დაკავშირებით ვერ უზრუნველყოფენ რამდენიმე მიზეზის გამო. თავისუფალი გაზეთების დაფუძნებულთათვის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება „საარჩევნო პროცესში გაზეთის მიერ წინასაარჩევნო აგენტებისა და რეკლამის განთავსების მიმართ წაყენებული მოთხოვნები“ ნათლად და გასაგებად ზღუდავს მათ საქმიანობას. მოკლედ, მედიასაშუალებებს შეზღუდვები დაუწესდა, რომლებიც ლანხუთში გამოძავალ გაზეთებზეც თავს დადებდა ისახა. დაჯარიმების ყველას ეშინია და „გაუგებრობის“ თავიდან ასაცილებლად თავის შეკავება ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია.

სტატიის მომზადების პერიოდში ლანხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ამომრჩევლს არ ჰქონდა სრულყოფილი ინფორმაცია, თუ რამდენი მასობრივი კანდიდატი აპირებს ბრძოლას პირველი ოქტომბრის არჩევნებში, ვინ არიან ისინი, რა გეგმები აქვთ და რა წარსულით მობიანი, რომელია მათი ნომერი და, საერთოდ, სახელად რა ჰქვიათ (თუ შენდევლობაში არ მივიღებთ ორ პრესკონფერენციას, რომელიც ორმა პარტიამ გარკვეული მიზნით ჩაა-

ტარა). აუცილებელი აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ დღემდე რომელიმე ადგილობრივ გაზეთში წარწერა „პოლიტიკური რეკლამა“ არ შეშინდებოდა, არც „ფასიანი“ და არც „უფასო“.

2008 წლის პარლამენტის არჩევნების პერიოდში სხვა სიტუაცია იყო, გაზეთები აქტიურად და თამამად წერდნენ კანდიდატების შესახებ, იყო პოლემიკა, დებატები... შესაბამისად, საზოგადოება მეტ-ნაკლებად ინფორმირებული იყო, ვინ რომელი პარტიიდან ლეგალიზაცია კენჭისყრაში მონაწილეობდა, რა წარსულით მობიანი იყო, რა გეგმები ამობრახვებდათ...

როგორც ჩანს, პოლიტიკურ პარტიებსაც და მასობრივად მსურველ კანდიდატებსაც მაშინ მეტი პოლიტიკური თავისუფლება და უკეთესი დაფინანსება ჰქონდათ.

დღეს კი რა ხდება? „ლანხუთში მთავარი საარჩევნო ძალების დისლოკაციის ადგილი ისევე ისეთია, როგორც წინა პარლამენტის არჩევნების დროს იყო: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მასობრივი კანდიდატის შტაბი ისევე „ვენეციაშია“ ქალაქის ცენტრში მდებარე კერძო კომერციულ ფართში. კოალიცია „ქართული ოცნების“ შტაბი კი ისევე იმ შენობაშია, სადაც ავთანდილ ჯორბენაძე იყო „გამაგრებული“ ამ ოთხი წლის წინ. „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბი, იმნაიშვილების კუთვნილ შენობაში თავისი ახალგაზრდული ფრთა „ჩანერგა“, ბაღრატი ფრენტურთის ბადე გაჭიმა და არის ერთი მხიარული ორთომტრიალი.

მშვენივრად მოეწყო მაკა კვიციანიას პარტია მთავარ მოედანზე. „მემარჯვენეები“ იქ დასახლდნენ, საიდანაც „ნაციონალურმა“ გამარჯვება მოიპოვეს ამ რვა წლის წინ. „ქრისტიან-დემოკრატები“ ტელევიზორში ძალიან მაგრები ჩანან და ლანხუთშიც არ გააქტიურდებიან, გულუხას პარტია მთავარია, ამბობენ და რომ არ მოგატყუოთ, არც „ეროვნულ-დემოკრატები“ იკლავენ თავს აქცია-შეხვედრებით. ველოდებით „ლენინისტებს“ და მათი დისლოკაციის ადგილი არ იცვლება.

მთავარი დაპირისპირებული ძალა მაინც „ნაციონალური მოძრაობა“, ანუ ხელისუფლება და კოალიცია „ქართული ოცნება“ არიან. ორივე მხრიდან დიდი აქტივობაა, დღეში 5-7 შეხვედრას მართავენ ამომრჩევლებთან. თითქმის არც ერთი უბანი არ დარჩენიათ, ხალხს არ მიაკითხონ.

ზოგჯერ ვფიქრობ, რომ საარჩევნო ტექნოლოგიებში ჩვენი პოლიტიკოსები ძალიან შორს არ წასულან, ორივე მხარეს რაღაც კომუნიკატორი სენი უდის. თუმცა, რა გასაკვირია, გიორგი გობუჯაძეც, „ნაციონალურების“ მასობრივი კანდიდატი და გიორგი გვეგიაძეც, „ოცნების“ მასობრივი კანდიდატი, „ოცნების“ მასობრივი კანდიდატი „არ არიან“ წერდა გაზეთი „ლანხუთის პლუსი“, 1 სექტემბრის ნომერში.

სტატია სათაურით „წითლად ჩახუთ-ული ლანხუთი“, რომელიც გარკვეულწილად ეხმარება ჩვენთვის საინტერესო თემატურას, 13 სექტემბრის გაზეთ „გურია ნიუსში“ გამოქვეყნდა (ავტორი ლალი იმაღალიშვილი). შემოგთავაზებთ ამონაბრძანებას: „ლანხუთის მოქალაქეთა დიდ ნაწილს წარმოადგენს არა აქვს სხვა-დასხვა პოლიტიკური პარტიის საარჩევნო ნომრებზე. ქალაქში საითაც გაიხედავ, „ნაციონალური მოძრაობის“ ნომერგამოსახული პლაკატებია გამოკრული. ქუჩაში გამოკრულია უამრავი მოქალაქეთა ნაწილმა მხოლოდ მმართველი პარტიის საარჩევნო ნომრის დასახელება შეძლო. მცირე ნაწილმა იცოდა კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ ახლად მიწვებული საარჩევნო ნომერი. გამოკრულთა უმრავლესობამ ამა სხვა პოლიტიკური პარტიების ვერც საარჩევნო ნომერი და ვერც სლოგანი ვერ დაასახელა...“

„ლანხუთის მოქალაქეთა დიდ ნაწილს წარმოადგენს არა აქვს სხვა-დასხვა პოლიტიკური პარტიის საარჩევნო ნომრებზე. ქალაქში საითაც გაიხედავ, „ნაციონალური მოძრაობის“ ნომერგამოსახული პლაკატებია გამოკრული. ქუჩაში გამოკრულია უამრავი მოქალაქეთა ნაწილმა მხოლოდ მმართველი პარტიის საარჩევნო ნომრის დასახელება შეძლო. მცირე ნაწილმა იცოდა კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ ახლად მიწვებული საარჩევნო ნომერი. გამოკრულთა უმრავლესობამ ამა სხვა პოლიტიკური პარტიების ვერც საარჩევნო ნომერი და ვერც სლოგანი ვერ დაასახელა...“

ლანხუთელი მასწავლებელი სოსო კვაჭაძე ხუმრობით ამბობს, რომ ჯერ კიდევ შემორჩენილ ზაფხულის სიმუხრავლეში მთელი ლანხუთი ჩვეულებრივზე მეტადაა წითლად „ჩახუთ-ული“!

16 სექტემბერს არჩევნებამდე ორი კვირით ადრე ჩავატარე გამოკითხვა სოფელ აცანაში, სადაც ათასამდე ამომრჩეველი ცხოვრობს. გამოკითხული 20 რესპონდენტიდან მხოლოდ ერთმა ამომრჩეველმა იცოდა, რომ პირველ ოქტომბერს დანიშნულ პარლამენტის არჩევნებში ლანხუთის მუნიციპალიტეტში ხუთი კანდიდატი ლეგალიზაცია კენჭისყრაში მონაწილეობდა. ქალაქ ლანხუთში 20 გამოკითხულიდან მხოლოდ 3-მა იცოდა ამის შესახებ. რაც შეეხება პარტიებს, ვერც ერთმა რესპონდენტმა ვერ მიპასუხა მონაწილე პარტიათა სწორი სახელწოდება და საარჩევნო მინიჭებული ნომრები.

გამოკითხვისას გამოიკვეთა ტენდენცია, – ამომრჩევლები აქცენტს ორ პოლუსზე აკეთებენ (ტერმინი „ორი პოლუსი“ ერთ-ერთი რესპონდენტისგან მოვისმინე), – მმართველი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (მასობრივი დეპუტატობის კანდიდატი პარტიის სახე და ექს-გამგებელი გიორგი გობუჯაძე) და საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ (დეპუტატობის კანდიდატი წარსულში ცნობილი ფეხბურთელი თემურ ჩხაიძე).

ახლა მიმოვიხილოთ, რა ხდება დანარჩენ კანდიდატთა ირგვლივ:

ოფისში რამდენჯერმე ამოდი მივაკითხე „ჯონდი ბალატურია – ქართული დასის“ მასობრივი კანდიდატი ალექსანდრე მახატიანს სასაუბროდ. დაკვირვებით კარს თავზე დიდი ბანერია წარწერით „განახლებული საქართველოსთვის“. ადრე აქ გულუხას პარტია იყო, რომელსაც იგივე მახათაძე ხელმძღვანელობდა. სახლის მოპატრონემ მითხრა, რომ ყური მოგვარი, ოფისი შემდეგი კვირიდან ამაღლებულია, უკვე ოთხი თვეა, აქ თავალი არაეინ მინახავს.

„ახალი მემარჯვენეების“ კანდიდატი ბაღრატი გვაჩაძეც 36 წლისაა, ლანხუთში დაბადებული და გაზრდილი კაცია, აქვს უმაღლესი განათლება, მაგრამ არ აქვს პოლიტიკური გამოცდილება. ორი წელია „მემარჯვენეების“ წევრია. ოპონენტებზე მიიჩნევს გიორგი გობუჯაძეს და თემურ ჩხაიძეს. მისი პარტიის რაიონული ხელმძღვანელის, დავით წულაძის აზრით, მასობრივად ახალგაზრდა კანდიდატი უალტერნატივოა.

ხანმოკლე პოლიტიკური წარსულით გამოირჩეული „კახა კუკავა – თავისუფალი საქართველო“ მასობრივობის კანდიდატი, 38 წლის

მინდია კეჭავაძე ოზურგეთში, სოფელ მერიაში დაბადებული და გაზრდილი. სტუდენტობისას ბათუმში მონარქისტულ-კონსერვატორულ პარტიაში საქმიანობდა, შემდეგ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ოზურგეთის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. 2008 წლის არჩევნებში ოზურგეთში სწორედ ამ პარტიიდან იყრიდა კენჭს მასობრივი კანდიდატი და, როგორც თავად თქვა, ბრძოლა წააგო „ნაციონალურების“ კანდიდატთან ანზორ ერქომაიშვილთან და გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატთან ლაშა ჩხარტიშვილთან. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკური მოღვაწეობა კახა კუკავასთან გააგრძელა. ამჟამად გახლავთ „თავისუფალი საქართველო“ გურიის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე. პარტიის მიზანი სხვებისგან განსხვავებულია ქართული ეკონომიკის განვითარების კუთხით, სურთ რუსეთთან დაამყარონ კეთილმეზობლური ურთიერთობა, დააბრუნონ საქართველო რუსეთის ბაზარზე და ა.შ. ოზურგეთელ კაცს სჯერა ლანხუთში გამარჯვების, ამაში კი ლანხუთელი საანთესასო და სამეგობროს ხმების იმედი აქვს. კონკურენტებზე მიანიშნებს თემურ ჩხაიძე და გიორგი გობუჯაძე.

იმედოვნებს, რომ ჯერ კიდევ არის დრო, ოპოზიციის გაერთიანდეს ერთი კანდიდატის ირგვლივ, ეს იქნება გარანტია სამთავრობო კანდიდატის დასამარცხებლად.

ახლა რაც შეეხება „ორ პოლუსს“:

„ჩახუთ-ული მოძრაობის“ ერთად გვარიანი პოლიტიკური რყევები იგრძნობოდა ამ ბოლოს ლანხუთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილის მიერ დასახელებული კანდიდატი საქმიანობას შეუდგა, „ქართული ოცნების“ ლანხუთის ოფისში რადიკალური ცვლილებები განხორციელდა, – შტაბი დატოვეს მისმა ხელმძღვანელმა სოსო ბოლქვაძემ, რომან ბიჭიაძემ, ელგუჯა ჩხაიძემ და ნესტორ მეგლაძემ. თემურ ჩხაიძის მოთხოვნით, კოალიციის მართონი ლანხუთის ექს-მერმა გიორგი გვეგიაძემ ჩაიბარა. ცვლილების გამო ადგილობრივ პრესაში ატეხილ ხმაურზე შტაბს საგანგებოდ ეწვია ბიძინა ივანიშვილის ძმა ადიკო ივანიშვილი, რომელიც მხარს სოსო ბოლქვაძეს უჭერდა.

სხვათა შორის, თავის დროზე, 2001 წელს, ქალაქ ლანხუთის მერის არჩევნებში სოსო ბოლქვაძემ გიორგი გვეგიაძეს მოუგო. როგორც ხედავთ, ამჟამად გვეგიაძემ რევანში მოახერხა.

საბოლოოდ, „ოცნების“ შტაბში ყველანი უკან დააბრუნეს. ადგილობრივი და რეგიონული გაზეთები აქტიურად წერდნენ, რომ „კოალიციაში“ შემავალი სამივე პარტიის ლიდერის (სოსო ბოლქვაძე, რომან ბიჭიაძე, ელგუჯა ჩხაიძე) ერთდროულად კულისებში გადასროლა მხოლოდ ხელისუფლების წისქვილზე თუ დასახამს წყალს“ (გაზეთი „გურიის მოამბე“ №35, 2012 წელი).

პრესაში ატეხილ ხმაურს გაზეთ „ჰო და არას“ ფურცლებიდან გამოვხმართ ბატონი თემურ ჩხაიძე ინტერვიუთი, რომლის სათაურია: „ვინც კარვად მიცნობს, იცის, რომ გამოიცილებს“ 1 ოქტომბრის არჩევნებში ვინმეს პრო-



ექტი ვიყო“ (გაზეთი „ჰო და არა“, 9 სექტემბერი).

გიორგი გობუჯაძეს ამ თემზე პრესის ფურცლებიდან კრინტიც არ დაუძრავს.

კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატს ადგილობრივი მედიის ფურცლებიდან რამდენჯერმე მოუხდა პატიოსნად აეხსნა, რომ ის არ შეიძლება იყოს გობუჯაძის პროექტი, რადგან მის უკან დგას კოალიცია „ქართული ოცნება“ და მასში შემავალი პარტიები.

ოფიციალური ვერსია, კონკრეტულად ვინ წარუდგინა ბატონ თემურ ჩხაიძის კანდიდატურა კოალიციას, არ გავრცელებულია.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არჩევანი საკმაოდ პერსპექტიული და გამართლებული ჩანს დღევანდელი გადასახედით.

ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ, ბანალური იქნება ამ ორი კანდიდატის შესახებ ბიოგრაფიულ ან თუ გენეზით პარტიათა პროგრამირების დეტალებზე საუბარი. ფაქტი კი ფაქტად რჩება, – მასმედიის პროექტი „გიორგი გობუჯაძე – ყოვლისშემძლე და წარმატებული“ შედგა.

სხვათა შორის, ვერც გიორგი გობუჯაძემ და ვერც თემურ ჩხაიძემ ჩემთან სასაუბროდ ვერ მოიცალეს, ორთავემ კითხვები დაიტოვა. მათი საარჩევნო პროგრამები ფაქტიურად არაფრით განსხვავდება მათივე პარტიების პროგრამებისგან, რომელთა ფონდებიდანაც ფინანსდებიან. იგივე ითქმის დაპირებებზე. ზედის ირონიით, პოლიტიკიდან და სპორტიდან მომავალი მათი გზები 2012 წლის პირველ ოქტომბერს უნდა გადაიკვეთოს. მანამდე კი ერთი ინფორმაცია, რომელიც „ინტერპრესნიუსმა“ გაავრცელა და რომელიც ყველასათვის ცნობილია (გთავაზობთ ამონარიდს):

„აშშ-ს ახალი ელჩი, რიჩარდ ნორლანდი უკვე თბილისშია. მან ჟურნალისტებს განუცხადა, მოხარულია, რომ კვლავ ესტუმროს საქართველოს:

„სასიამოვნოა, რომ ისევ ვიწყობთ საქართველოში, ქვეყანაში, სადაც მე ძალიან დიდ სითბოს ვგრძნობდი 1993 წელს სამსახურის დროს... ელჩად მუშაობის დროს ჩემი პირველი ამოცანა იქნება უკეთესი გვეყვებოდნენ მნიშვნელოვან ცვლილებებში, შევხვედრე პოლიტიკოსებს, ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების მაქსიმალურად ბევრ წარმომადგენელს, ასევე მოვისმინე დიდი რაოდენობა შეხვედრებიდან იმის შესახებ, რა ხდება ამ დინამიურად განვითარებად ქვეყანაში...“

კესო მახარაძე






სტატია მომზადებულია გეორგი დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის შეხედულებებს.